

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

მოგესალმებით,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ა" პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა ხორციელდება. პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

წარმოგიდგენთ 2023 წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

➢ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 26 363 148 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება** - წლიური გეგმა შეადგენდა 12 981 189 ლარს, ხარჯი 11 854 495 ლარი - შესრულება 91 %.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა** -წლიური გეგმა შეადგენდა 1 148 445 ლარს, ხარჯი 1 146 048 ლარი - შესრულება 100 %.

- **განათლება** - წლიური გეგმა 2 091 551 ლარი, ხარჯი კი 2 086 591 ლარი- შესრულება 100 %.

- **სპორტის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა 1 396 459 ლარი, ხარჯი 1 328 305 ლარი - შესრულება 95 %.

- **კულტურის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა წარმოადგენდა 1 451 620 ლარს, ხარჯი კი 1 426 195 ლარს -შესრულება 98%.

- **ჯანმრთელობის დაცვა** - წლიური გეგმა 393 386 ლარი, ხარჯი 370 758 ლარი- შესრულება 94 %.

- **სოციალური დაცვა** - წლიური გეგმა 577 040 ლარი, ხარჯი 552 577 ლარი- შესრულებულია 96%-ით.

ყველა პროექტი და პროგრამა, რომელიც 2023 წლისთვის იყო დაგეგმილი, მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა 12 306 821,36 ლარით. გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სულ გაფორმებულია 88 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო თანხით 9 766 507,18 ლარი;

2. გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით სულ გაფორმებულია 159 ხელშეკრულება საერთო თანხით 1 255 977,03 ლარი, მათ შორის 68 ხელშეკრულება გახლავთ სოფლის მხარდაჭრის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სულ გაფორმებულია 24 ხელშეკრულება საერთო თანხით 1 279 437,15ლარი;

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, 2023 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 10315071 ლარი და განხორციელდა 129 პროექტი.

განხორციელებული პროექტები ითვალისწინებდა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალსადენი სისტემების მოწესრიგებას, სანიაღვრე არხების მოწყობას, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტისთვის სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტების განხორციელებას.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2023 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 21 პროექტი საერთო ღირებულებით 5299540 ლარი.

1. სოფელ ძირაგეულის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. 2023 წლის გეგმა 423452 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 424229 ლარი
2. სოფ. სადმელში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. 2023 წლის გეგმა 864564 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 864564 ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2024 წელს
3. სოფელ ბაჯში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, 2023 წლის გეგმა 95984 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 95976 ლარი.
4. სოფელ გორის დასახლების თამარ მეფის ქუჩის წყალმომარაგების სისტემის“ მოწყობის სამუშაოები. 2023 წლის გეგმა 90978 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 90976 ლარი.
5. სოფელ პირველი ტოლის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, 2023 წლის გეგმა 207536 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 207536 ლარი.
6. სოფელ წესში სასოფლო გზის რეაბილიტაცია, 2023 წლის გეგმა 288921 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 288918 ლარი.

7. სოფელ ხონჭიორში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, 2023 წლის გეგმა 346949 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 346945 ლარი.

8. სოფელ გაღმა ბარეულის წყალმომარაგების სამუშაოები, 2023 წლის გეგმა 255691 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 255680 ლარი.

9. ქ. ამბროლაურში მე-7 ქუჩის და გურგენიძის ჩიხის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, 2023 წლის გეგმა 215314 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 215312 ლარი.

10. სოფელ წესში ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავანის, ტერიტორიის კეთილმოწყობის და სოფელ კვაცხუთში „ხიდიკრის კლდეკარის“ განათების მოწყობის სამუშაოები, 2023 წლის გეგმა 367247 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 367246 ლარი.

11. ქალაქ ამბროლაურში კოსტავას N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოები, 2023 წლის გეგმა 244486 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 244486 ლარი.

12. სოფელ ხოტევში ნასხვეტას წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები. 2023 წლის გეგმა 257624 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 257624 ლარი.

13. ქ. ამბროლაური მდ. კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა; 2023 წლის გეგმა 522535 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 435066 ლარი, პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2024 წელს, ღირებულებით 1 663 392 ლარი.

14. სოფელ ხიმშში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია, 2023 წლის გეგმა 247800 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 247800 ლარი. პროექტი გადამავალია და დასრულდება 2024 წელს, ღირებულებით 574 999 ლარი.

15. სოფელ სადმელში ენუქიძეების და ოშხერლების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, 2023 წლის გეგმა 313020 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 306277 ლარი.

16. სოფელ ლიხეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, 2023 წლის გეგმა 43000 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 24693 ლარი. პროექტი დასრულდება 2024 წელს, საერთო ღირებულებით 43000.00 ლარი.

17. სოფელ ბოსტანაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა და სოფელ ჩორჯოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა; 2023 წლის გეგმა 84000 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 49106 ლარი. პროექტი დასრულდება 2024 წელს, საერთო ღირებულებით 84 000ლარი.

18. სოფელ იწაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა და სოფელ ძირაგეულში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა; 2023 წლის გეგმა 83850 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 83773 ლარი.

19. „სოფელ აბანოეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები“. 2023 წლის გეგმა 52500 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 47377 ლარი. პროექტი დასრულდება 2024 წელს, საერთო ღირებულებით 52 500 ლარი.

20. სოფელ ჭრებალოში ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; 2023 წლის გეგმა 107748 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 106931 ლარი.

21. ქ. ამბროლაურში დავით აღმაშენებლის და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები; 2023 წლის გეგმა 186341 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 137444 ლარი. პროექტი დასრულდება 2024 წელს, საერთო ღირებულებით 431 701 ლარი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შესრულდა 734 000 ლარის ღირებულების 68 პროექტი. 12 სოფელში მოწესრიგდა განათება. 1 სოფელში-სპორტული ინფრასტრუქტურა. 5 სოფელი-სასაფლაოს შემოღობვა. მოსაცდელი -1 სოფელი. სველი წერტილის მოწყობა -1 სოფელი. 24 სოფელში -სასმელი წყალი. 5 სოფელში - მოეწყო საბავშვო სკვერი. სანიაღვრე არხები-3 სოფელში. საუბნო გზა -13 სოფელში. ნაპირსამაგრი-1 სოფელში.ხიდბოგირი-2 სოფელში.
ყველა პროექტი შესრულდა 100 %-ით .

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 29 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის 3 - გზების მოვლა-შენახვა - ღირებულებით 290603 ლარი. ხოლო დანარჩენი 26 პროექტი - ღირებულებით 397380 ლარი.პროექტები დასრულებულია.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 3 025 000 ლარი. გამოცხადებული 10 ელექტრონული ტენდერიდან 2023 წელს დასრულდა 8 პროექტი; 2 პროექტი დასრულდება 2024 წელს.

მთის განვითარების ფონდის თანხები მიმართული იქნა სოფელ იწის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე რიგის სამუშაოებში. 2023 წლის გეგმა 500000 ლარი, ხოლო ათვისებული თანხა 500000 ლარი. პროექტი გარდამავალია, დასრულდება 2024 წელს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 1 180 000 ლარი.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინასდა 1 საჯარო სკოლის პროექტი. სსიპ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის საჯარო სკოლის გათბობის მოწყობის სამუშაოები", მთლიანი თანხა შეადგენს 68 548 ლარს.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ხელშეწყობაა. სფეროს დაფინანსების მიზნით 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 768 100 ლარი, დაფინანსდა 16 სოციალური და 5 სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა.

სოციალური პროგრამის ფარგლებში 2023 წელს 926 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 465 970 ლარი.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (მომსახურებით ისარგებლა 26-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 32 587 ლარი);
- 10 001 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო პაკეტით უზრუნველყოფა (146 ბენეფიციარზე დაიხარჯა 10 334 ლარი);
- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (68 ოჯახზე გაცემულია 35 400 ლარი);

- ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (9 ახლადშექმნილ ოჯახზე გაცემულია 9 000 ლარი);
- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (5 გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცა 1 250 ლარი);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (23 ბავშვზე გაცემულია 11 500 ლარი);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა (61 პირზე გაცემულია 67 300 ლარი);
- „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება (19 ბენეფიციარზე გაცემულია 37 400 ლარი);
- ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება (4 ოჯახზე გაცემულია 35 920 ლარი);
- სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (146 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 82 400 ლარი);
- მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (39 ოჯახზე გაცემულია 23 800 ლარი);
- უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა (8 ოჯახზე გაცემულია 15 600 ლარი);
- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება (16 მარტოხელა მშობელზე გაიცა 4 800 ლარი);
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (ომისა და სამხედრო ძალების 105 ვეტერანზე გაცემულია 21 000 ლარი);
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება. (უზრუნველყოფილია 246 ოჯახი, რომლისთვისაც დაიხარჯა 73 800 ლარი);

2023 წელს დიდთოვლობის შედეგად დაზარებულ 11 ოჯახზე დახმარების სახით გაიცა 35 000 ლარი.

აუცილებლად უნდა ავღნიშნო პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა, რომელშიც ამეტაპისთვის 411 ბენეფიციარია ჩართული

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის ერთობლივი დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება ,,პროფესიული შინ მოვლის პროგრამა“, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ხანდაზმული პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მათ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას ადგილზე. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართულია 120 ბენეფიციარი.

აღნიშნული პროგრამების გარდა, მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებას უწევს შშმ და სსმ პირთა დღის ცენტრს ,,ბაო“ და სადმელის მრვალფუნქციურ ცენტრს.

2023 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 390 ბენეფიციარს, გაცემული თანხა კი შეადგენს 257 694 ლარს.

- ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (ისარგებლა 108 ბენეფიციარმა)
- ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა (მომსახურება გაეწია 199 ბენეფიციარს)
- ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება (კვლევები ჩაუტარდა 60 ბენეფიციარს)
- ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა) (ისარგებლა 110-მა ბენეფიციარმა)

აღნიშნული პროგრამების გარდა, მ/წელს, ჩავატარეთ სოციალური საჭიროებების კვლევა, სადაც 200-მდე ოჯახმა მიიღო მონაწილეობა. მათ მიერ გამოკვეთილი საჭიროებები და პრიორიტეტები შესაძლებლობის ფარგლებში აისახა 2024 წლის პროგრამებში.

პერიოდულად ადგილზე ტარდება უფასო სამედიცინო კვლევები, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს მოწვეული, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო პერსონალის მომსახურებით ისარგებლოს.მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ასევე გაიმართა უფასო სკრინინგი, სადაც მოქალაქეებმა ისარგებლეს გინეკოლოგის, მამოლოგის, ენდოკრინოლოგის, რადიოლოგის, კარდიოლოგისა და სხვა სპეციალისტების მომსახურებით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა - ,,ოფთალმიჯის" ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, მ/წელს უფასო კონსულტაციით 200-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა, გარდა ამისა, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში 127 პაციენტს ადგილზე ჩაუტარდა ოპერაცია - კატარაქტას ექსტრაქცია და ფაკოემულსიფიკაცია ხელოვნური ბროლით.

მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ არსებული პროგრამები და ბევრი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესები გავითვალისწინოთ.

❖ კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

აღნიშნული სფეროების დასაფინანსებლად 2023 წელს გამოიყო 4 939 630 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსება გათვალისწინებული იქნა 10 არასამეწარმეო იურიდიული პირისთვის, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში შესაბამისი სფეროების განვითარებას. მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა - 233 470 ლარს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს პირველად საგამოცდო ცენტრი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გაიხსნა, რაც აბიტურიენტებს აძლევთ, როგორც დროის ისე ფინანსური რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას.

2023 წელს განხორციელლდა შემდეგი ღონისძიებები:

- **ფულადი ჯილდოები** - საჯარო სკოლის 16 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალოსანს გადაეცა ფულადი ჯილდო ჯამში 8 600 ლარი; დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 22 პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტის სწავლის საფასური - 38 637 ლარი; კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდება მიენიჭა და ფულადი ჯილდო გაიცა 30 პირზე ჯამში - 39 000 ლარი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ 6 მოსწავლეს გადაეცა პორტატული კომპიუტერი. (ღირებულება - 9 270 ლარი);

- **ღონისძიებები** - განხორციელდა საგანმანათლებლო პორტალი ,,izrune.ge" და პროექტ „ეტალონის" მომსახურების შესყიდვა.
  გაიმართა 26 მაისის ღონისძიება, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის განხორციელება 18 ბენეფიციარისთვის - საერთო ღირებულება - 19 922; ვეტერანების დღის ღონისძიება, განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური და რეგიონალური თამაშების ორგანიზება და ჩატარება, ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაცია.

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ასევე ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა,** რომელშიც დღეის მდომარეობით ჩართულია 16 სკოლის 229 მოსწავლე, მომსახურება ხორციელდება 82 მარშრუტზე (სერვისს უზრუნველყოფს 31 სატრანსპორტო საშუალება). აღნიშნული მიმართულებით 2023 წლის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთლიანი თანხა შეადგენდა 295 134 ლარს.

❖ მუნიციპალიტეტის მმართველობა და სერვისების ხელმისაწვდომობა

ელექტრონულ სისტემაში არსებულმა დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა 23 345, კანცელარიაში შემოსული განცხადება/ მომართვა 9 626, გასული დოკუმენტი 5 353, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბრძანება 3 896, შიდა დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი, სამსახურეობრივი აქტი)4 464 .

შესაბამისი მომართვის საფუძველზე 40 ობიექტებზე (II-III კლასი) გაიცა სამშენებლო ნებართვა, ასევე 105 პირველი კლასის ობიექტზე შეთანხმდა სამშენებლო პირობები. აღნიშნულ პერიოდში ექსპლოატაციაში მიღებული არის 15 ობიექტი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შემოსულმა თანხამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 41 630ლარი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაიცა 344 საჯარო ინფორმაცია, მომზადდა 827 ცნობა, მომზადდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 დადგენილებისა და 37 განკარგულების პროექტი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლების წინააღმდეგ მომზადდა 2 სარჩელი, 1 სააპელაციო საჩივარი, 2 შესაგებელი. განხილული იქნა 2 ადმინისტრაციული საჩივარი. მოსამსახურეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ გვერდზე გამოაცხადა 7 ღია, 2 დახურული, 1 შიდა კონკურსი.

❖ დელეგირებული უფლებამოსილებები

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მიღების მიზნით მერიას მომართა 319 მოქალაქემ. სტატუსი მიენიჭა 308 მოქალაქეს. სტატუსის აღდგენის მიზნით მომართა 14-მა მოქალაქემ, მათი საკითხი გადაწყდა დადებითად. წლის განმავლობაში მონიტორინგი ჩაუტარდა 2 757 პირს, რის საფუძველზეც სტატუსი შეუწყდა 352 პირს. აქედან: 214 -ს სტატუსი შეუწყდა რეესტრის დავალების საფუძველზე, არ ცხოვრების მიზეზით 137 -ს, ხოლო 1 მოქალაქის ინიციატივით შეწყდა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს ფლობს 8 391 მოქალაქე.

❖ გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობს. დამტკიცდა ამბროლაურის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2022-2025წწ. მერია მიზნად ისახავს გააუმჯობესოს მმართველობითი სისტემა, დანერგოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები, ხელი შეუწყოს ადგილობრივი დონეზე მოქალაქეთა ჩართულობას, და აამაღლოს ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები. გეგმის შესრულებით მერია დროულად უპასუხებს ადგილობრივ გამოწვევებს და გაატარებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ რეფორმებს.

აქტიურად ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, (www.ambrolauri.gov.ge) რომელიც არის ბევრად უფრო მობილური, გვერდზე პროაქტიულადაა გამოქვეყნებული ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტის, შესყიდვების, ქონების, აუქციონების, კონკურსების, ინფრასტრუქტურული პროექტების, სხვადასხვა ფონდიდან მიღებული თანხების, ადმინისტრაციული ხარჯების, მუნიციპალური სერვისების შესახებ. ასევე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ვებგვერდის გამოყენებით წერილით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, დაარეგისტრირონ პეტიცია, დააფიქსირონ ინიციატივა ან მოგვაწოდონ ინფორმაცია მომხდარი ფაქტის შესახებ. 2023 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს მაშტაბით.

მერია ასევე აქტიურად იყო ჩართული, მუნიციპალიტეტის, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის და ფონდ აფხაზინტერკონტის მიერ 2023 წლის 30 მაისს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ერთობლივად ორგანიზებული მოსახლეობის ფორუმის ჩატარებაში, ფორუმი მიზნად ისახავდა მოსახლეობის ჩართვას ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. ფორუმზე შეირჩა გარკვეული პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვებისთვის 500 ლარით დახმარებას ითვალისწინებს, 2023 წლის განმავლობაში ბავშვების დასახმარებლად ბიუჯეტიდან გაიცა 53 000 ლარი, აქედან სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 90 ბავშვზე გაიცა 45 000 ლარი, ხოლო

კრიზისში მყოფი 5 ოჯახის დასახმარებლად გაიცა 8 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკა, სახელწოდებით ,,ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენცია" საქართველოში 2023 წლის საუკეთესო პრაქტიკად აღიარა.

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს ისეთი საბჭოები როგორიცაა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო, მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო და სოციალური მრჩეველთა საბჭო.

დამტკიცდა ,,ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2025", ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად შემუშავება და განხორციელება კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდობის პოტენციალსა და როლს. ჩვენი მიზანია ახალგაზრდებს დასაქმებაში პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა, ახალგაზრდული საბჭოს წევრების წახალისება, საბჭოს წევრების მოტივაციის გასაზრდელად მოხდა ბრენდირებული საჩუქრების გადაცემა, უზრუნველყოფილი იქნა წევრების სოფელ ანაკლიაში გამართულ ტრენინგში მონაწილეობა.

მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული გაეროს განვითარების ფონდ UNDP-ის, იაპონიის საელჩოს და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

შეიქმნა მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გაკეთდა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პრიორიტეტების ანალიზი, შეფასდა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2023 წელს ამოქმედდა დასუფთავების მოსაკრებელის ელექტრონული პროგრამა. მოსახლეობას, საშუალება აქვს დასუფთავების გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიიღოს, ხოლო გადახდებს ნებისმიერი საგადახდო არხის მეშვეობით განახორციელებს , კერძოდ: მობაილ ბანკი/ინტერნეტ ბანკი, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, მობილური აპლიკაცია. 2023 წელს დასუფთავების მოსაკრებლიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 500 ლარიდან შემოსულია 52 495 ლარი.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა და არსებული აქტუალური პრობლემების გადაჭრა წარმოუდგენელია ეკონომიკური განვითარების გარეშე, მუნიციპალიტეტს გააჩნია პოტენციალი ტურიზმის განვითარების რაც მკვეთრად გაუმჯობესებს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალიტეტში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, ახალი ტურისტული ლოკაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება კურორტი ჭუთხაროს შექმნა, რომელიც ექნება პოტენციალი სამთო-სათხილამურო მიმართულებით წამყვანი კურორტი გახდეს. სამთო-სათხილამურო კურორტის არსებობა ხელს შეუწყობს რეგიონში ინვესტორების მოზიდვას და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების, ცალკეული მოქალაქეების მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და მათზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. გპირდებით, რომ ჩემს ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოვიყენებ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

გმადლობთ ყურადღებისთვის!